დანართი N 1

ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება

(საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა)

	ქვეყანა	ადგილზე შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო (ნებართვის გამცემი ორგანო)
1)	ამერიკის შეერთებული შტატები	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე,** იუსტიციის დეპარტამენტის ანტიტრასტული განყოფილების აგენტები ატარებენ ადგილზე შემოწმებას. ორდერში დეტალურად უნდა იყოს შემოწმების დეტალები, პერიოდი, რა ქონებაზე უნდა მოხდეს შემოწმების განხორციელება.
2)	დიდი ბრიტანეთი	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ადგილზე შემოწმებას ახორციელებს გაერთიანებული სამეფოს კონკურენციის ორგანო (სამეწარმეო აქტი 2002-ის 194-ე მუხლი).
3)	ავსტრია	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ავსტრიის კონკურენციის ფედერალური ორგანო ახორციელებს ადგილზე შემოწმებას (ავსტრიის კონკურენციის შესახებ კანონის მე-12 მუხლი).
4)	შვეიცარია	შვეიცარიის კონკურენციის უწყება **სასამართლოს ნებართვის გარეშე** ახორციელებს ადგილზე შემოწმებასა და დათვალიერებას (შვეიცარიის კონფედერაციის კარტელური და კონკურენციის შემზღუდველი ქმედების შესახებ აქტის 42[1]-ე მუხლი).
5)	ესპანეთი	ესპანეთის კონკურენციის ეროვნული კომისია **სასამართლოს ნებართვის გარეშე** ახორციელებს ადგილზე შემოწმებას (ესპანეთის კონკურენციის აქტის მე-40 მუხლი).
6)	პოლონეთი	პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანო **სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ახორციელებს ადგილზე შემოწმების ღონისძიებას (კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის 91-ე მუხლი).
7)	ჰოლანდია	ჰოლანდიის კონკურენციის ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ ჩაატარონ ადგილზე შემოწმება და დათვალიერება **სასამართლოს ნებართვის გარეშე** (ჰოლანდიის კონკურენციის აქტის 55-ე მუხლი), სასამართლოს ნებართვა საჭიროა თუ საქმე ეხება კომპანიის დირექტორთა ან სხვა თანამშრომელთა კერძო ქონების დათვალიერებას (ჰოლანდიის კონკურენციის აქტის 55-ე (ა) მუხლი).
8)	ინდოეთი	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ინდოეთის კონკურენციის კომისიის გენერალური დირექტორი ატარებს ადგილზე შემოწმების ღონისძიებას.
9)	უნგრეთი	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** უნგრეთის კონკურენციის ორგანო ატარებს ადგილზე შემოწმებას და დათვალიერებას (უნგრეთის კონკურენციის აქტის 65ა მუხლი).

10)	გერმანია	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** გერმანიის კონკურენციის უწყება ატარებს ადგილზე შემოწმებას და დათვალიერებას (გერმანიის კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ, 59-ე მუხლი).
11)	საფრანგეთი	ადგილზე შემოწმებისა და დათვალიერებისათვის კონკურენციის უწყებას **არ სჭირდება სასამართლოს ნებართვა,** მანამ სანამ, არ სურს დაყადაღება, ამოღება ან თანამშრომელთა კერძო საკუთრებაში შეღწევა (საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის L450-3, L450-4 მუხლები).
12)	ლიტვა	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ახორციელებს კონკურენციის ორგანო ადგილზე შემოწმებას, დათვალიერებას, დაყადაღებას, ამოღებას და სხვა საჭირო ღონისძიებებს (ლიეტუვის რესპუბლიკის კონკურენციის კანონის 26-ე მუხლი).
13)	ესტონეთი	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ახორციელებს ესტონეთის კონკურენციის უწყება ადგილზე შემოწმებებსა და დათვალიერებებს (ესტონეთის კონკურენციის აქტის 63^5 მუხლი).
14)	კანადა	კანადის კონკურენციის ორგანოს აქვს უფლებამოსილება **სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ჩაატაროს ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება, დათვალიერება და ა.შ. (კანადის ფედერალური კონკურენციის აქტის 30-ე მუხლი).
15)	თურქეთი	თურქეთის კონკურენციის ორგანოს **სასამართლოს ნებართვის გარეშე** აქვს უფლება განახორციელოს ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება და დათვალიერება. თუ ეკონომიკური აგენტი უარს აცხადებს წარმომადგენლების დაშვებაზე, კონკურენციის ორგანოს საბჭო გასცემს ნებართვას, რის შემდგომაც ეკონომიკური აგენტი ვალდებულია დაუშვას ადგილზე კონკურენციის ორგანოს წარმომადგენლები (თურქეთის კონკურენციის დაცვის კანონის მე-15 მუხლი).
16)	ისრაელი	**სასამართლოს ნებართვის საფუძველზე** ახორციელებს ისრაელის ანტიმონოპოლური სამსახური (ისრაელში კონკურენციის სამართლის დარღვევა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად) (ისრაელის ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ კანონის 45-ე მუხლი).
17)	იტალია	იტალიის კონკურენციის უწყება **სასამართლოს ნებართვის გარეშე** ახორციელებს ადგილზე შემოწმების, დათვალიერების, ამოღებისა და სხვა ღონისძიებებს (კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აქტის მე-14 მუხლი).
18)	უკრაინა	ეკონომიკური აგენტის კუთვნილი ქონებიდან ინფორმაციის მიღება (ნივთმტკიცებულებების ამოღება) და დაყადაღება უკრაინის კონკურენციის ორგანოს შეუძლია უკრაინის ანტიმონოპოლური კომისიის სახელმწიფო კომისიონერის ან ტერიტორიული ბიუროს ხელმძღვანელის ნებართვის საფუძველზე, **სასამართლოს ნებართვის გარეშე,** ხოლო <u>კერძო პირების ქონებიდან მსგავსი ქმედებების განხორციელებას სჭირდება სასამართლოს ნებართვა</u> (უკრაინის კანონი ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ, 44-ე მუხლი).